MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

იძულებით გადაადგილებულ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საგრანტო პროგრამა

განმახორციელებელი უწყება:
სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით.

2026

სარჩევი

შესავალი 3
1. **პროგრამის მიზანი** 4
2. **პროგრამის შედეგი** 4
3. **პროგრამის გავრცელების არეალი და ხანგრძლივობა** 4
4. **პროგრამის აღწერა** 4
   - **4.1. საგრანტო განაცხადის წარმოდგენა** 5
   - **4.2. საგრანტო განაცხადის შემოწმება და განხილვა** 6
   - **4.3. საგრანტო განაცხადის შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა** 8
5. **პროგრამის ბიუჯეტი** 14
6. **პროგრამის მონიტორინგი** 14

შესავალი

იძულებით გადაადგილებული პირები (შემდგომში - დევნილები) სოციალურ-ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფია და მათი უმუშევრობის დონე, დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, დაახლოებით ორჯერ მაღალია.[1] ამასთან, დევნილი ქალები, განსაკუთებით კი ისინი, რომლებიც ქალაქების/რაიონული ცენტრებისგან მოშორებით დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ (ყოფილი კომპაქტურად გასახლების) ობიექტებში (შემდგომში - ყოფილი კომპაქტური ობიექტი) არიან განსახლებულნი მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ფენას წარმოადგენენ, რომლებიც სახელმწიფოსგან განსაკუთრებულ მიდგომასა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

2021 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული „პროფესიული განათლებისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასება“ [2] ცხადჰყოფს, რომ დევნილი ქალების დასაქმების დონე (33%) და სამუშაო ძალის მონაწილეობის (აქტიურობის) დონე (39%) უფრო დაბალია, არადევნილ მოსახლეობასთან შედარებით.[3]

დამატებით, აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული გენდერული ზეგავლენის შეფასების ფარგლებში გაანალიზდა დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ქალი ბენეფიციერები იმ მუნიციპალიტეტებიდან, სადაც ყოფილი კომპაქტური ობიექტები მდებარეობს (თბილისის გარდა).[4] შედეგად გამოვლინდა, რომ 2017-2021 წლებში დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ქალი ბენეფიციარების რაოდენობამ იმ მუნიციპალიტეტებიდან, სადაც ყოფილი კომპაქტური ობიექტები მდებარეობს (თბილისის გარდა) ჯამურად 37 შეადგინა, რაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბენეფიციარების მხოლოდ 19%-ია. ამასთან, ასეთი ქალების რაოდენობა, მნიშვნელოვნად შემცირდა 2020 და 2021 წლებში და მხოლოდ 3-3 ბენეფიციარი დაფინანსდა.[5]

მუნიციპალიტეტები, სადაც კოლექტიური ცენტრები - ყოფილი კომპაქტური ობიექტები მდებარეობს	2017	2018	2019	2020	2021	2017-2021
ქალების მიერ შეტანილი განაცხადები	19	22	30	11	32	114
ბენეფიციარი ქალების რაოდენობა	7	11	13	3	3	37

ასევე, სტატისტიკა აჩვენებს, რომ:

[1] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №622 დადგენილება „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019 – 2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, დანართი №1: საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019 – 2023 წლების ეროვნული სტრატეგია, გვ. 29; საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 - რს დადგენილება „2020 – 2030 წლებისათვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“, მოსალოდნელი შედეგი - 4.3.

[2] ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით. პროფესიული განათლებისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასება. 2021 წელი. ხელმისაწვდომია: ge-7dc02330-7fab-11ed-a87f-ff9afef9795a.pdf (unwomen.org)

[3] იქვე. გვ. 22.

[4] დათვლილია ყველა იმ ქალების რაოდენობა, რომელიც ცხოვრობს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც არის კოლექტიური ცენტრი. გამომდინარე არსებული ბაზიდან, არ არის დათვლილი იმ ქალების რაოდენობა, რომელიც უშუალოდ კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობენ.

[5] ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაკვეთით. პროფესიული განათლებისა და დევნილთა და ეკომიგრანტთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამების გენდერული ზეგავლენის შეფასება. 2021 წელი. ხელმისაწვდომია: ge-7dc02330-7fab-11ed-a87f-ff9afef9795a.pdf (unwomen.org)

- იმ მუნიციპალიტეტებიდან, სადაც ყოფილი კომპაქტური ობიექტები მდებარეობს, კაცების წარმატების მაჩვენებელი [6] (37%) უფრო მაღალია ქალების წარმატების მაჩვენებელზე (32%).
- იმ მუნიციპალიტეტებიდან, სადაც კოლექტიური ცენტრები მდებარეობს ქალების წარმატების მაჩვენებელი (32%) უფრო ნაკლებია, იმ ქალების წარმატების მაჩვენებელზე, რომლებიც სხვა მუნიციპალიტეტებში ცხოვრობენ (36%).

დევნილი ქალების თვითდასაქმების უზრუნველსაყოფად, სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) ახორციელებს წინამდებარე პროგრამას. უპირატესობა მიენიჭებათ ყოფილ კომპაქტურ ობიექტებში მცხოვრებ დევნილ ქალებს.

1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, დევნილი ქალების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საარსებო მდგომარეობის გაუმჯობესება, თვითდასაქმების პერსპექტივის შექმნის გზით.

2. პროგრამის შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად, დაფინანსდება 60-მდე დევნილი ქალი.

3. პროგრამის გავრცელების არეალი და ხანგრძლივობა

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე (გარდა თვითმმართველ ქალაქებში - თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი) მცხოვრები დევნილი ქალებისთვის 2026 წელს.

4. პროგრამის აღწერა

პროგრამის განხორციელების შედეგად, მხარდაჭერილი იქნება, დევნილი ქალების თვითდასაქმება, არსებული საქმიანობის გაფართოება/გადაიარაღება ან/და თვითდასაქმების მიზნით, საქმიანობის წამოწყება, რათა გაიზარდოს მათი საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობა, ფინანსური დამოუკიდებლობა და თვითკმარობა და ამგვარად, გაუმჯობესდეს მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

პროგრამის ფარგლებში, დევნილი ქალები მიიღებენ მხარდაჭერას - მოთხოვნის შესაბამისად შეძენილი იქნება, თვითდასაქმების მიზნით საჭირო სახელობო იარაღები - ძირითადი საშუალება, არაუმეტეს 10 ერთეულის ოდენობით, რომელთა შესახებ განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 1 ინვოისი.

ინვოისით გათვალისწინებული ძირითადი საშუალების ჯამური ღირებულება უნდა იყოს არაუმეტეს 5 000 ლარის ფარგლებში. ამასთანავე, თითო ნივთის ღირებულება უნდა იყოს

[6] წარმატების მაჩვენებელი დათვლილია: დაფინანსებული განაცხადების წილი შეტანილ განაცხადებში.

მინიმუმ 150 ლარის და მაქსიმუმ 1 000 ლარის ფარგლებში. შეიძლება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი იქნეს ისეთი ნივთი, რომლის ერთეულის ღირებულება აჭარბებს 1 000 ლარს, ასეთ შემთხვევაში, ამ ნივთის შეძენის საჭიროება უნდა იყოს დასაბუთებული განმცხადებლის მიერ. ამ ნივთის შესყიდვის საკითხს წყვეტს კომისია განმცხადებლისათვის ამ ნივთის საჭიროებისა და შესყიდვის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

თუ მოთხოვნილია, ერთიდაიმავე ნივთის ერთზე მეტი ოდენობით შეძენა და ეს მოთხოვნა დასაბუთებულია საქმიანობის სპეციფიკის/საჭიროების გათვალისწინებით, ასეთ შემთხვევაში, არ გავრცელდება რაოდენობრივი შეზღუდვა. ნაკრების შეძენა დასაშვებია, იმ შემთხვევაში, თუ ნაკრები მოიცავს ქარხნულად შეკრებილ ერთგვაროვან ნივთებს.

პროგრამის ფარგლებში, დასაშვებია მხოლოდ საოპერაციო აქტივის (ძირითადი საშუალების) შეძენა. ამასთან, შესაძენად მოთხოვნილი ძირითადი საშუალების ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით დადგენილ ზღვრებს. ასევე, შესაძენად მოთხოვნილი ნივთი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით და უნდა იყოს ახალი. დაუშვებელია, მეორადი ნივთების შეძენა.

დაფინანსებას არ ექვემდებარება:

1) თუ დევნილის მიერ წარმოდგენილია ერთზე მეტი საგრანტო განაცხადი;
2) თუ განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში, დაფინანსებულია 3 000 ლარის და მეტი ღირებულებით (ჯამურად);
3) თუ განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი, **2023 და შემდეგ წლებში, დაფინანსებულია** - გამარჯვებულად გამოვლენილია („პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ გარდა) სააგენტოს საგრანტო/სუბსიდიის პროგრამების ფარგლებში;
4) თუ განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი დაფინანსებულია სააგენტოს ან/და განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, 10 000 ლარის და მეტი ღირებულებით (ჯამურად);
5) თუ დაფინანასებისათვის პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია: საბრუნავი კაპიტალი; სახარჯი მასალა, მომსახურების შეძენა, მეორადი ნივთები, არაპროფესიული ხელსაწყოები, უძრავი ქონება, ქირა, იჯარა ან ქონების სხვა ნებისმიერი მართლზომიერი ფორმით ფლობასთან დაკავშირებული ხარჯი.

4.1. საგრანტო განაცხადის წარმოდგენა

პროგრამაში მონაწილეობისათვის, დაინტერესებულმა დევნილმა ქალებმა უნდა შეავსონ პროგრამის ფარგლებში შემუშავებული საგრანტო განაცხადი **(დანართი N1)** და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინონ სააგენტოში ან სააგენტოს ტერიტორიულ სამმართველოებში, შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა;
2. ქ. გორი, სამების ქუჩა N1;
3. ქ. რუსთავი, მე-17 მ/რ, N20 ა (ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა);
4. ქ. ქუთაისი, ირ. აბაშიძის გამზ. N27;
5. ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის ქ. N106.

განაცხადების მიღების კონკრეტული თარიღი განისაზღვრება სააგენტოს დირექტორის შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ვადის დარღვევით, წარმოდგენილი განაცხადები განუხილველად იქნება დატოვებული.

საგრანტო განაცხადს თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განმცხადებლის პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;
2. საგრანტო განაცხადში მითითებული საქმიანობის სფეროში კვალიფიკაციის/მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომი, სერტიფიკატი, ცნობა სასწავლებლიდან, სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, დამსაქმებლის ან/და დამკვეთის ხელწერილი. თუ დამსაქმებლი/დამკვეთი არის ფიზიკური პირი, მისი ხელმოწერა დადასტურებული უნდა იყოს სანოტარო წესით);
3. საგრანტო განაცხადების მიღების ვადაში გაცემული ინვოისი/ინვოისები ყველა სახელობო იარაღზე, რომლის შეძენაც მოთხოვნილია წარმოდგენილი საგრანტო განაცხადით (ინვოისი უნდა მოიცავდეს თარიღს, მომწოდებლის ხელმოწერას, ნივთის მარკას, მოდელს, მახასიათებელს და ღირებულებას (არასააქციო ფასს).
4. შვილ(ებ)ის დაბადების მოწმობის ასლი (იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის არასრულწლოვანი შვილის მშობელი და სურს ეს ინფორმაცია გათვალისწინებული იქნეს შეფასების დროს);
5. შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს ან/და მისი ოჯახის წევრს აქვს შშმ პირის სტატუსი და სურს ეს ინფორმაცია გათვალისწინებული იქნეს შეფასების დროს).

საგრანტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს უშუალოდ განმცხადებლის მიერ. განმცხადებელს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საგრანტო განაცხადი.

ცალკეული საგრანტო განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ ეტაპზე, შესაძლებელია მოხდეს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნა. მათ შორის, საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ნებართვის/ლიცენზიის და ა.შ. არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.2. საგრანტო განაცხადის შემოწმება და განხილვა

წარმოდგენილ საგრანტო განაცხადს ამოწმებს სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკური მხარდაჭერის სამსახურის იძულებით გადაადგილებულ პირთა ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამების სამმართველო (შემდგომში - სამმართველო) და განიხილავს პროგრამის ფარგლებში შექმნილი საგრანტო კომისია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის“ შესაბამისად.

სამმართველო უზრუნველყოფს წარმოდგენილი საგრანტო განაცხადების შემოწმებას და ადგენს რამდენად შესაბამისია პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

სამმართველო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას საგრანტო განაცხადში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა ან/და ინფორმაციის

დაზუსტება. ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ითხოვს სააგენტო დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, საგრანტო განაცხადის გარეკანზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება შეტყობინების თარიღის მითითებით.

განაცხადი არ გადაეცემა საგრანტო კომისიას განსახილველად და მიიღება გადაწყვეტილება განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ის არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან განმცხადებელმა განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი ან/და არ დააზუსტა ან/და არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია; განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა საგრანტო კონკურსში მონაწილეობაზე; არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რის გამოც განაცხადის განხილვას შედეგი არ ექნება.

განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ სააგენტოს დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის თაობაზე ინფორმაცია განთავსდება სააგენტოს ვებ-გვერდზე, განმცხადებლის სახელისა და გვარის მითითებით, ასევე, განმცხადებელს ეცნობება წარმოდგენილ საგრანტო განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით, ამასთან, განმცხადებელი უფლებამოსილია აქტის ჩაბარების მოთხოვნით მიმართოს სააგენტოს.

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

1. საგრანტო განაცხადი წარმოდგენილია დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია; მათ შორის, საგრანტო განაცხადის წარმოდგენის შემდეგ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;
2. განმცხადებელი არის სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით, დევნილის აქტიური სტატუსის მქონე ქალი.
3. განმცხადებელი არ ცხოვრობს თვითმმართველ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი);
4. განმცხადებელი ფლობს საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის სფეროში შესაბამის გამოცდილებას ან/და კვალიფიკაციას, რომელიც დასტურდება წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციით;
5. საგრანტო განაცხადით მოთხოვნილია სახელობო იარაღ(ებ)ი (ძირითადი საშუალება) არაუმეტეს 10 ერთეულის ოდენობით, არაუმეტეს 5000 ლარის ღირებულების ფარგლებში. ამასთანავე, ერთი ნივთის ღირებულება უნდა იყოს მინიმუმ 150 ლარის და მაქსიმუმ 1 000 ლარის ფარგლებში;
6. განაცხადი არ ითვალისწინებს ისეთი საქმიანობის მხარდაჭერას, ისეთი ნივთების შეძენას, რომელიც პროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება;
7. განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში, არ არის დაფინანსებული 3 000 და მეტი ლარის ღირებულებით (ჯამურად);
8. განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი, **2023 და შემდეგ წლებში, არ არის დაფინანსებული** - გამარჯვებულად გამოვლენილი („პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ გარდა) სააგენტოს საგრანტო/სუბსიდიის პროგრამების ფარგლებში;

9. განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი **არ არის დაფინანსებული** სააგენტოს ან/და განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში, 10 000 ლარის და მეტი ღირებულებით (ჯამურად);
10. წარმოდგენილ განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება არ ეწინააღმდეგება გრანტის თაობაზე საქართველოს კანონმდებლობას.

4.3. საგრანტო განაცხადის შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა

საგრანტო განაცხადები, რომლებიც დააკმაყოფილებენ პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ფასდება პირველადი შეფასების კრიტერიუმებით. იმ შემთხვევაში, თუ საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა დაფინანსებისთვის საჭირო რაოდენობაზე ნახევარზე მეტმა, შეფასებული განაცხადები შესაძლოა წარედგინოს პროგრამის ფარგლებში შექმნილ საგრანტო კომისიას (შემდგომში - კომისია), რომელიც წარმოდგენილი განაცხადების რაოდენობისა და არსებული ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, ადგენს მინიმალური ქულის ზღვარს, საიდანაც განაცხადი დაექვემდებარება მონიტორინგსა და დამატებით შესწავლას, სხვა შემთხვევაში, ყველა განაცხადი დაექვემდებარება მონიტორინგს. მინიმალური ქულის განსაზღვრის შემთხვევაში, განაცხადებზე, რომლებიც ვერ მიიღებენ დადგენილ ქულას, მიღებული იქნება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ა) პირველადი შეფასების კრიტერიუმები:

N	კრიტერიუმი	განმარტება	ქულა
1	**მოწყვლადობა** თუ განმცხადებელი არის: (რამდენიმე კრიტერიუმის არსებობისას იკრიბება შესაბამისი ქულები) პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს დევნილ ქალს, რომელიც შესაძლოა არ იყოს მოწყვლადობის ჩამოთვლილი კრიტერიუმების მქონე.	არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის მშობელი 1 შვილის ყოლის შემთხვევაში - 2 ქულა; 2 შვილის ყოლის შემთხვევაში - 2,5 ქულა და ა.შ. თითოეულ არასრულწლოვან შვილზე დამატებითი 0,5 ქულა.	2
		სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული და მისი სარეიტინგო ქულაა 120 001 ქულამდე	1.5
		ახალგაზრდა (30 წლამდე ასაკის)	1
		შშმ პირი (განმცხადებელი ან/და მისი ოჯახის წევრი)	1
		არცერთი ჩამონათვალიდან	0
2	**განმცხადებლის კვალიფიკაცია /სამუშაო გამოცდილების დადასტურება**	წარმოდგენილია მხოლოდ სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	1
		წარმოდგენილია მხოლოდ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომი, სერტიფიკატი, ცნობა სასწავლებლიდან)	2

		წარმოდგენილია ორივე - კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	5
3	**მიღებული სარგებელი** სააგენტოს საარსებო წყაროების პროგრამების (3 000 ლარამდე ღირებულების) და სააგენტოს ან/და განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული საარსებო წყაროების პროგრამების ფარგლებში (10 000 ლარამდე ღირებულების)	განმცხადებელს ან/და მის ოჯახის წევრს[7] მიღებული აქვს დაფინანსება	0
		განმცხადებელს ან/და მის ოჯახის წევრს მიღებული არ აქვს დაფინანსება	15
4	**ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი**	განმცხადებელი ცხოვრობს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ (ყოფილი კომპაქტურად გასახლების) ობიექტში	5
		განმცხადებელი არ ცხოვრობს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ (ყოფილი კომპაქტურად გასახლების) ობიექტში	1

მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, სამმართველო წარმოდგენილ საგრანტო განაცხადებს გადასცემს საგრანტო კომისიას, რომელიც განიხილავს და აფასებს შეფასების კრიტერიუმებით და ავლენს გამარჯვებულებს. თუ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, აღმოჩნდა, რომ პირველადი შეფასების კრიტერიუმით შეფასებული გარემოება არ დადასტურდა, მონიტორინგის შედეგის გათვალისწინებით, დაკორექტირდება შეფასების პირველ ეტაპზე მინიჭებული ქულა.

საგრანტო განაცხადი ფასდება განაცხადში მითითებული ინფორმაციისა და მონიტორინგის ანგარიშის გათვალისწინებით. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით თითოეულ შეფასების კრიტერიუმზე დაიწერება შესაბამისი ქულა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კომისიის წევრი არ ეთანხმება ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილ ქულას, აღნიშნულის თაობაზე აისახება ოქმში.

ბ) შეფასების კრიტერიუმები:

N	**კრიტერიუმი**	**განმარტება**	**ქულა**
	შესაძენად მოთხოვნილი სახელობო იარაღების საჭიროება	შესაძენად მოთხოვნილი ნივთები აუცილებელია საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის დასაწყებად.	8
		შესაძენად მოთხოვნილი ნივთები საჭიროა საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული	5

[7] პროგრამის ფარგლებში, ოჯახის წევრად მიიჩნევა სააგენტოს დევნილთა/ეკომიგრანტთა ბაზაში არსებული მონაცემი და სოციალურ დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არსებული მონაცემი.

1	*(ნივთების საჭიროების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ღირებულება, გამოყენების ინტენსივობა და ფუნქციონირება)*	საქმიანობის განსავითარებლად/გასაგრძელებლად	
		შესაძენად მოთხოვნილი ნივთები მეტ-ნაკლებად საჭიროა საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად.	2
		არ დგას მოთხოვნილი სახელობო იარაღების გრანტის სახით მიღების საჭიროება, მათ გარეშეც შესაძლებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელება ან/და განმცხადებელს აქვს შესაძლებლობა თავად დაიკმაყოფილოს ეს საჭიროება	0
2	**განმცხადებლის გამოცდილება, ცოდნა, უნარი** *(ფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მონიტორინგის შედეგად, გამოვლენილი ინფორმაციის გათვალისწინებით. ასევე, მხედველობაში მიიღება განმცხადებლის მიერ ნივთის გამოყენების ცოდნა)*	განმცხადებელს აქვს ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა სამუშაო გამოცდილება, რომელიც საკმარისია საქმიანობის განხორციელებისათვის.	5
		განმცხადებელს აქვს ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა სამუშაო გამოცდილება, რომელიც შესაძლოა არ იყოს საკმარისი საქმიანობის განხორციელებისათვის.	2
		განმცხადებელს არ აქვს სათანადო ცოდნა, უნარი, შესაძლებლობა, სამუშაო გამოცდილება საქმიანობის წარმართვისთვის.	0
თუ განმცხადებელმა პირველ (შესაძენად მოთხოვნილი სახელობო იარაღების საჭიროება) ან მეორე შეფასების კრიტერიუმში (განმცხადებლის გამოცდილება, ცოდნა, უნარი) მიიღო 0 ქულა, კომისია აღარ აგრძელებს განაცხადის შეფასებას და მიიღება გადაწყვეტილება განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.			
3	**გრანტი ემსახურება**	განმცხადებელის საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გამიზნული საშუალებების ბაზით აღჭურვას.	2
		განმცხადებელის საგრანტო განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობისთვის გამიზნული ძირითადი იარაღების ბაზის ტექნიკურ გადაიარაღებას/გაუმჯობესებას ან/და შრომის შემსუბუქებას	1
		ორივე.	3
4	**წარმოდგენილი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**	მოხდება ისე აღჭურვა, რომ შესაძლებელი იქნება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება.	4
		მოხდება განმცხადებლის აღჭურვა ისე, რომ საქმიანობის განხორციელებისათვის დასჭირდება დამატებითი ინვესტიცია, რომლის რესურსიც გააჩნია განმცხადებელს.	1

	(გათვალისწინებული უნდა იქნეს ძირითადი საშუალებები და სახარჯი მასალა)	მოხდება განმცხადებლის აღჭურვა ისე, რომ საქმიანობის განხორციელებისათვის დასჭირდება დამატებითი ინვესტიცია, რომლის რესურსიც ამ ეტაპზე საეჭვოა გააჩნდეს.	0
5	**პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები** *(გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემო პირობები, განმცხადებლის ფიზიკური შესაძლებლობა, დრო დაგეგმილი საქმიანობისთვის, გეოგრაფიული არეალი და სხვა)*	კომისიის შეფასებით, გარემო პირობებისა და შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებული ფაქტორების ანალიზის შედეგად პროექტის წარმატებით განხორციელების რისკი არ არის/უმნიშვნელოა.	5
		კომისიის შეფასებით, გარემო პირობებისა და შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებული ფაქტორების ანალიზის შედეგად პროექტის წარმატებით განხორციელების რისკი არსებობს და შესაძლოა საფრთხე შეუქმნას პროექტის განხორციელებას.	2
		კომისიის შეფასებით გარემო პირობებისა და შეფასების კრიტერიუმებით გათვალისწინებული ფაქტორების ანალიზის შედეგად პროექტის წარმატებით განხორციელების რისკი მაღალია და პროექტის განხორციელება საეჭვოა.	0
6	**წარმოდგენილი პროექტის განხორციელებადობა - მდგრადობა** *(გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობის ადგილი, გარემო პირობები, განვითარების გეგმის არსებობა და მისი რეალურობა, სიცოცხლის უნარიანობა, გასაღების ბაზარი; პოტენციური მომხმარებლები; კონკურენტები და განმცხადებლის უპირატესობა მათთან შედარებით და სხვა).*	კომისიის შეფასებით, განმცხადებელს რეალისტურად აქვს ჩამოყალიბებული, იცის/მოძიებული აქვს განხორციელების ადგილი, გასაღების ბაზარი; პოტენციური მომხმარებლები; კონკურენტები და განმცხადებლის უპირატესობა მათთან შედარებით; ნათლად არის წარმოდგენილი დაგეგმილი მომსახურება/პროდუქციის წარმოება და რეალურია მოლოდინი დაგეგმილი მოცულობის, ფასებისა და მოსალოდნელი შემოსავლების შესახებ; გარემო პირობების, რესურსების გათვალისწინებით, იდეა რეალურია და მაღალია გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა/მაღალია საქმიანობის გაუმჯობესების/განვითარების შესაძლებლობა და სხვა.	12 – 15
		კომისიის შეფასებით, განმცხადებელს მეტნაკლებად აქვს ჩამოყალიბებული, თუმცა, სრულყოფილად არ არის დაგეგმილი განხორციელების ადგილი, გასაღების ბაზარი; პოტენციური მომხმარებლები; კონკურენტები და განმცხადებლის უპირატესობა მათთან შედარებით; გარემო პირობების, რესურსების, განმცხადებლის გეგმის გათვალისწინებით, იდეა მეტნაკლებად რეალურია და შესაძლოა გრანტის მიზნობრივად	9 - 11

		გამოყენებისა და იდეის განხორციელება დამატებითი კონსულტაციის შემდეგ. არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობის სიცოცხლის უნარიანობისა და მდგრადობის ალბათობა საშუალო დონისაა.	
		კომისიის შეფასებით, განმცხადებელს ნათლად არ აქვს ჩამოყალიბებული ან/და არ აქვს რეალისტური მოსაზრება ბიზნეს საქმიანობაზე, პროექტის განხორციელების ადგილზე, გასაღების ბაზარზე; პოტენციურ მომხმარებლებზე; კონკურენტებსა და განმცხადებლის უპირატესობაზე მათთან მიმართებაში საქმიანობის გაუმჯობესების/განვითარების შესაძლებლობაზე და სხვა. გარემო პირობების, რესურსების გათვალისწინებით, დაბალია გრანტის მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის განხორციელების შესაძლებლობა. არ იკვეთება საქმიანობის ზრდის/გაფართოების შესაძლებლობა.	0
7	**დაფინანსების გავლენა განმცხადებლის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე**	განმცხადებლის მოწყვლადობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მხარდაჭერას არსებითი გავლენა ექნება საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესების მიმართულებით.	15
		განმცხადებლის მოწყვლადობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მხარდაჭერას მეტნაკლებად გავლენა ექნება განმცხადებლის საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესების მიმართულებით, შესაძლებელია ხარჯების შემცირება ან/და დამატებითი შემოსავლის მიღება.	10
		ჯამური მაქსიმალური ქულა:	55

პირველადი და შეფასების კრიტერიუმების ქულები დაჯამდება და გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე განმცხადებლები პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში.

კომისია უფლებამოსილია დააკორექტიროს განმცხადებლის მოთხოვნა, იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ნივთი კონკრეტული პროფესიის მქონე განმცხადებლისათვის არ წარმოადგენს სახელობო იარაღს ან მიიჩია, რომ განმცხადებელს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია/უნარი გამოიყენოს მოთხოვნილი ნივთი ან/და მოთხოვნილია ისეთი ნივთის შეძენა, რომელიც არ ფინანსდება პროგრამის ფარგლებში.

კომისიის მიერ დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის თაობაზე ინფორმაცია განთავსდება სააგენტოს ვებგვერდზე, განმცხადებლის სახელისა და გვარის მითითებით, ასევე, განმცხადებელს ეცნობება წარმოდგენილ საგრანტო განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ამასთან, განმცხადებელი უფლებამოსილია აქტის ჩაბარების მოთხოვნით მიმართოს სააგენტოს.

საჭიროებისამებრ, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარები შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, ვალდებულნი არიან წარუდგინონ სამმართველოს 3 ინვოისი საგრანტო კომისიის მიერ დასაფინანსებლად განსაზღვრულ ნივთებზე, მახასიათებლების, მოდელებისა და ღირებულების მითითებით. ინვოის(ებ)ის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სამმართველო უფლებამოსილია საგრანტო კომისიასთან შეთანხმებით, გააუქმოს განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან გამომდინარე, სააგენტო განახორციელებს ნივთების შეძენას იმ მახასიათებლების მიხედვით, რომელიც აქვს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილ ნივთ(ებ)ს. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარის მიერ შესაძენად მოთხოვნილი საქონლის/მომსახურების ერთეულის ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, მისი შეძენის დაფინანსება განხორციელდება ვაუჩერისა და შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე. თითოეულ საქონელზე/მომსახურებაზე გაიცემა თითო ვაუჩერი, მათ შორის ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ერთი გამარჯვებული განმცხადებლისთვის შესაძენია რამდენიმე საქონელი/მომსახურება, რომლის ერთეულის ღირებულება 1 000 ლარს არ აღემატება (გამონაკლისი შესაძლოა დაშვებული იქნეს თუ ერთი განმცხადებლისთვის შესაძენია რამდენიმე ერთგვაროვანი საქონელი/მომსახურება). შეძენის შედეგად, შესაძლებელია თითოეულ ბენეფიციარისთვის შეძენილმა ნივთების ჯამურმა ღირებულებამ გადააჭარბოს თანხის პროგრამით განსაზღვრულ ზღვრებს, თუმცა, აღნიშნულმა გავლენა არ უნდა მოახდინოს პროგრამის ჯამურ ბიუჯეტზე. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე ფასების ცვლილების გათვალისწინებით, შესაძენი ნივთების ღირებულება აჭარბებს პროგრამის ბიუჯეტს, სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს პროგრამის ბიუჯეტის ცვლილების საკითხი შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების არსებობის ფარგლებში.

პროგრამის ფარგლებში, სახელობო იარაღების შეძენა გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან (დღგ).

გამარჯვებულებსა და სააგენტოს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება. გამარჯვებული ვალდებულია მიღებული სახელობო იარაღ(ებ)ი გამოიყენოს პროგრამის მიზნის შესაბამისად, საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან არანაკლებ 3 წლის განმავლობაში.

გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარი უფლებამოსილია დარეგისტრირდეს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა – www.worknet.gov.ge -ზე და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სასერთიფიკატო პროგრამაში და ჩაერთოს სასურველი ვაკანსიების მოძიების პროცესში. ამასთან, გამარჯვებული უფლებამოსილია საქმიანობა გახადოს ფორმალიზებული, საქმიანობიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დარეგისტრირდეს ეკონომიკურ აგენტად - მეწარმე სუბიექტად.

5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის განხორციელების მიზნით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეული მხარდაჭერის ფარგლებში, გამოყოფილია 275 000 ლარი.

6. პროგრამის მონიტორინგი

მონიტორინგი მიზნად ისახავს ერთი მხრივ, პროგრამის ბენეფიციართა კონტროლს, მეორე მხრივ კი პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის არამიზნობრივი ხარჯვის თავიდან აცილებას.

პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება როგორც პირველადი, ისე შემდგომი მონიტორინგი სამი წლის განმავლობაში. პირველადი მონიტორინგის მიზანია, დადგინდეს საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი სახელობო იარაღებისა და საჭირო ინვენტარის შესყიდვის აუცილებლობა და შეფასდეს პროექტის განხორციელებადობა, მდგრადობის საკითხის გათვალისწინებით. პირველადი მონიტორინგი ხორციელდება როგორც საველე ვიზიტების, ასევე, სატელეფონო კომუნიკაციის გზით. პირველადი მონიტორინგის კონკრეტული სახე შეირჩევა წარმოდგენილი საგრანტო განაცხადის შინაარსიდან და არსებული საჭიროებიდან გამომდინარე.

შემდგომი მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ დაფინანსებულ ბენეფიციარებთან. მისი მიზანია, შემოწმდეს გრანტის ფარგლებში გადაცემული სახელობო იარაღებისა და საჭირო ინვენტარის მიზნობრივად გამოყენების ფაქტი და შეფასდეს გაუმჯობესებული საარსებო მდგომარეობა.